

საპარლამენტო უმცირესობა სოზარ სუბარის გადადგომას ითხოვს

საპარლამენტო უმცირესობის წევრები სასჯელალსრულების მინისტრ სოზარ სუბარის გადადგომას მოითხოვენ. მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზეზად კი „ნაციონალური მოძრაობა“ ქუთაისის N2 საპრობლეუმი 16 წლის პატიმრის გოგა ძველიას გარდაცვალებისა და ციხეებში ე.წ. მკურნალების არსებობის ფაქტებს ასახელებს.

გუშინ დეპუტატმა აკაკი

მინაშვილმა ბრიფინგი გამართა და სასჯელალსრულების დაწესებულებებში „მკურნალებთან“ გვარები დაასახელა.

აკაკი მინაშვილის განმარტებით, მართვის სისტემის მთავარი ხელმძღვანელია „კანონიერი ქურდი“ ვინმე გერლიანი, რომელსაც თითოეულ ზონაში რამდენიმე „მარჯვენა ხელი“ ჰყავს.

„რამდენიმე მკურნალები დაყოფილია ზონების მიხედვით. მაგალითად, „კა-

ნონიერი ქურდის“ მარჯვენა ხელია ვინმე ასლანიანი, პირველი ზონის მკურნალებია ვინმე ზარნაძე, „კრიტის“ ზონის მკურნალები - ვინმე მანაშვილი, ახალი ზონის მკურნალები - ვინმე ტერტერაშვილი და ფირცხალავა, სამედიცინო ნაწილის ანუ ე.წ. „ბალნიჩკის“ მკურნალები - ვინმე ყურაშვილი,“ - განაცხადა მინაშვილმა.

გაბრძოლა
მ-3 გვარდუა

რასმუსანი: ქართული ქვედანაყოფები ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში 2015 წელს განვირგნებთ

საქართველომ ნატო-ს შესთავაზა, ქართული ქვედანაყოფები ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებში გააერთიანოს, რაზეც სიტყვიერი თანხმობა თავად ანდერს ფოგ რასმუსენისგან მიიღო. გუშინ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ბრიუსელში გამართულ ყოველთვიურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველო სწრაფი რეაგირების ძალების წევრი 2015 წელს გახდება.

„მინდა, აღვნიშნო, რომ საქართველომ შემოგვთავაზა რეაგირების ძალებში გაერ-

თანება და ჩვენ ეს წინადადება მივიღეთ. ქართული ქვედანაყოფები ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში 2015 წელს განვირგნებთ და ეს პირველად მოხდება,“ - აღნიშნა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, რასმუსენის მხრიდან მსგავსი განცხადების გაკეთება ძალზე მნიშვნელოვანია. ალასანიას თქმით, გენერალური მდივნის ეს განცხადება იმის დასტურია, თუ რამდენად მაღალ შეფასებას აძ-

ლევს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველო ნატო-ს არანაირი პირველი ქვეყანაა, რომელიც სწრაფი რეაგირების ძალებში გაერთიანდება და ალიანსის სახელით, სამხედრო და ჰუმანიტარულ მისიებს შეასრულებს. თუმცა, მანამდე ქართველ სამხედროებს სერიოზული წვრთნების გავლა მოუწევს.

რატომ არ ცხადდება სართავორისო ძებნა ზურაბ ადეიშვილზე

უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს ლონდონში, Chatham House-ის ინსტიტუტში სიტყვიერ გამოსვლისას, ამავე ინსტიტუტის წევრმა სულხან ხაბაძემ საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილის შესახებ კითხვა დაუსვა.

„ამჟამად ზურაბ ადეიშვილი უნგრეთში იმყოფება, სადაც თავშესაფარი მიიღო და ეფექტურად ეძებება გამოძიებას. საყურადღებოა, რომ ის გახლავთ ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა ქართულ პო-

ლიტიკაში. მისი გაქცევიდან რამდენიმე კვირაში საქართველოს პარლამენტმა ციხეებიდან 200-მდე პოლიტპატიმარი გაუშვა,“ - განუცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს სულხან ხაბაძემ.

ხაბაძემ ვიქტორ ორბანს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნაზე წარუდგინა, თუმცა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა მას მოუწოდა, კითხვის დასამაზე გადასულიყო.

„მე ასევე თან მოვიტანე ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის დასკვნა, რომელშიც საინტე-

რესო სტატისტიკაა მოყვანილი. 2010 წელს, ადეიშვილის მინისტრობის დროს, სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელი განაჩენების წილი მხოლოდ 0.2 პროცენტი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი 1000 ადამიანიდან, რომლებსაც ადეიშვილმა ბრალდება წაუყენა, სასამართლო მოსმენების შემდეგ მხოლოდ ორი ადამიანი გამართლდა. ეს ციფრები თავის თავზე მეტყველებს,“ - განაცხადა ხაბაძემ.

გაბრძოლა
მ-2 გვარდუა

ეუთო აზერბაიჯანის არჩევნებს აკრიტიკებს



ნავა ნიზაძე

ოთხშაბათს აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, რომელშიც, წინასწარი შედეგების მიხედვით, მოქმედი პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხმების 84,6 პროცენტი დააგროვა. მეორე ადგილზე გასულმა, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა ჯამილ ჰასანლიმ 5,5 პროცენტი მიიღო.

თუმცა, «დემოკრატიული ძალების ეროვნული საბჭო» ამ შედეგებს არ აღიარებს და მიტინგის გამართვას გეგმავს. «ბაქოში მიტინგის გამართვას ვაპირებთ.

გაბრძოლა
მ-4 გვარდუა

1 აშშ დოლარი	1.6643\$
1 ევრო	2.2110\$
1 ინგლისური გირვანქა	2.5933\$
1 თურქული ლირა	0.8622\$
100 რუსული რუბლი	5.0433\$

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

ეზოზარ ზენაიშვილი: „სამხედრო მფრინავი მერიტულდნა სხვა არაფერია, თუ არა ცაცხლზე ნავთის დასხმა,“



გვ. 7


ლაქებს შეუბუბაბელი ქალები

„დიოგენემ“ ზოია ფირზადის „შევეგუებით“ გამოსცა

ნა ვაქა

არ აქვს მნიშვნელობა, სად არის ქალი - ეიფელის კოშკის ფონზე პოზირებს, თეთრი სახლის დერეფანში მიიბიჯებს თუ ქრელი ფარდაებით მოხატულ ალმოსავლურ ბაზარში ყიდულობს გამხმარ ნუშს, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი პრობლემები, განცდები, სიხარული და იმედები, არასდროს ტოვებს. ალბათ ამიტომაც წერენ მათზე ასე ხშირად, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მწერლები, სადაც ეიფელის წინ პოზირება და ქრელი ფარდაების ფონზე ცხოვრება ხელმეორედ საგონებია. სწორედ ამგვარ ლიტერატურას გვთავაზობს ირანელი მწერალი ქალი ზოია ფირზადი, რომლის ნაწარმოებთა თარგმანიც რამდენიმე დღის წინ „დიოგენემ“ გამოსცა.

გაბრძოლა
მ-4 გვარდუა



„24 საათის“ ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლევთ ერთმანეთს

FM 102.4
საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება

ბანკი კონსტანტა
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

9177198719121001

ლაქებს შეუბუბავი ქალები

პირველი გვარდიანს



ნიგნი სახელად „შევეგუებით“ ამავე სახელწოდების მქონე რომანსა და რამდენიმე მოთხრობას აერთიანებს. თარგმანი მზია ბურჯანაძესა და თეა შურლიას ეკუთვნით, ავტორსა და მის შემოქმედებასაც სწორედ მათ მიერ გაკეთებული წინასიტყვაობით ვეცნობით. თითქოს ჩვენთვის უცხო სამყაროსა და მის ბინადრებთან შესახვედრად გვაზადებენ, დეტალებს გვიხსნიან, რათა საკუთარ ყოფასთან მათი ინდენტიფიცირებისას ან უბრალოდ შედარებისას ტექსტს ძალიან არ გავცდეთ, არადა ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს - ირანელი ქალებივით ზოგჯერ ხომ ჩვენც ვცხოვრობთ.

ნიგნისა და მისი მთავარი ნაწარმოების სათაური მკითხველს უმალ უტოვებს განსაკუთრებული სიმძიმის ტექსტის მოლოდინს, თუმცა ზოია ფირზადი სულ სხვანაირი ირანელი ქალების ამბით გვეცნობა. ნაწარმოების პირველივე წინადადებიდან ვხვდებით, რომ წინ ძლიერი, დამოუკიდებელი, შეძლებისდაგვარად

ემანსიპირებული ქალის ისტორია გველის და ასეცაა - არეზუს საკუთარი ბიზნესი აქვს, დედისა და ქალიშვილისგან შემდგარ ოჯახს თავად უძღვება, ატარებს ავტომანქანას (ბევრ მამაკაცზე უკეთესადაც), უქმროდ დარჩენილი ბედნიერების ხელმეორედ მოპოვებასაც ცდილობს და სწორედ აქ აწყდება წინააღმდეგობას. უცნაურია, მაგრამ რომანის ანტაგონისტების როლში თავად ქალები გვევლიანებიან, თანაც ის ქალები, ვის მიმართ მზრუნველობაც არეზუს მთავარ მისიად მიაჩნია, სწორედ მათთვის აქვს მორგებული საზოგადოებისთვის მიუღებელი აქტიური ქალის როლი. დედა, ქალიშვილი და მეგობარი მაშინვე იწყებენ წინა პლანზე გამოსვლას, როგორც კი არეზუს პირადი ბედნიერების შანსი უჩნდება, მათი აგრესიის ადრესატი კი არა მხოლოდ თავად არეზუ, არამედ მისი რჩეული ზარჯუც ხდება - თითქოს ყველა იმ მამაკაცის განსახიერება, ვინც უკვე ან მომავალში მიაჩნტებს მათ ქალად ყოფნის უსიამოვნებას.

მოთხრობებიდან განსაკუთრებით კარგია „ლაქები“. ამ პატარა ნაწარმოებში ზოია ფირზადი ერთი ქალის თითქმის მთელ ცხოვრებას, სიხარულითა და უიმედობით სავსე დღეებს ატევს. მოთხრობა ლეილას გათხოვებით იწყება, თუმცა ლაქა, რომელიც ცხოვრების ბოლომდე უნდა ხეხოს და წმინდოს, მაგრამ ვერაფრით მოიშოროს, ბედნიერების პირველივე დღიდან მის თანამდევად იქცევა. წლები გადის, ლაქები სხვა და სხვა ფერს, კონსისტენციას, სუნს, სიმკვრივეს იძენს, ლეილა კი მალაზიიდან მალაზიაში დადის, რათა მათი ამოსაყვანი უკეთესი საშუალება შეიძინოს. საბოლოოდ, ქალი ლაქების გაქრობის სპეციალისტი ხდება, კურსებსაც კი ხსნის, ახლა უკვე სხვა ქალებს ასწავლის მათგან

განთავისუფლებას. საკუთარი თავისთვის სწავლება მაინც საუკეთესოდ გამოსდის და ამიტომაც კიდია კარადაში ერთ მხარეს მამაკაცის ტანსაცმელი, მეორე მხარე ცარიელია, ლეილას ზოლიანი კაბა კი ჩემოდანში დევს...

1952 წელს დაბადებული ზოია ფირზადი დედით სომეხია, ამიტომ მის ნაწარმოებებში ხშირად შეხვდებით არა მხოლოდ ირანში მაცხოვრებელ ამ ეროვნების წარმომადგენლებს, არამედ ზოგადად ქრისტიანებსაც, რაც მის შემოქმედებას უფრო განზოგადებულ სახეს აძლევს. წერს გამორჩეულად ქალებზე, რასაც ერთი მარტივი ფრაზით ხსნის: „ვფიქრობ, ქალები უფრო საინტერესო არიან, ვიდრე მამაკაცები“. მისი ქალები კი, როგორც წესი, ემანსიპაციისთვის მებრძოლი ქალები არიან, „შევეგუებით“ კი ამ თემის გვირგვინდაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან ამ რომანში ქალი დამოუკიდებლობის უმაღლეს საფეხურზე ადის (ცხადია, ირანში არსებული რეალობის ფონზე). თუმცა ქალი ფირზადის ერთადერთი თემა არ გახლავთ. როგორც შერეული ოჯახის შვილს, კონფლიქტისა და ერების თანაარსებობა ირანის მსგავს ფუნდამენტურ ქვეყანაში მისთვის ასევე მნიშვნელოვანი თემაა.

„დიოგენესის“ ზოია ფირზადი პირველი ირანელი ავტორი არ გახლავთ. 2004 წელს გამომცემლობამ ასევე მზია ბურჯანაძისა და თეა შურლიას მიერ სპარსულიდან თარგმნილი გოლი თარაყის „სახლი ზეცაში“ გამოსცა. მაშინ მწერალი თბილისსაც სტუმრობდა.

ზოია ფირზადის „შევეგუებით“ შეგიძლიათ ნიგნის ნებისმიერ მალაზიაში შეიძინოთ.

მოგზაურობა ვენაში

სოფიო ნაშაძე

11 -14 ოქტომბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით, სპეციალური ვიზიტით, ავსტრიის დედაქალაქს, ვენას სტუმრობს.

ვიზიტის ფარგლებში, 11 ოქტომბერს, 20:00 საათზე, ქართული დელეგაცია ქალაქ ვენაში, თეატრ BRUT-ის სცენაზე, ჯგუფ ბულიონის“ პერფორმანსს დაესწრება, სახელწოდებით „სუფრა“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართება.

დღეს, 22:00 საათზე, ავსტრიის დედაქალაქში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით დაგეგმილია მიღება ალბერტინაში“. ჰაბსბურგების ყოფილ სასახლე-რეზიდენციაში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია შეხვედბა ვენის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობის Viennafair კურატორებსა და მონვეულ სტუმრებს. მიღებას ალბერტინაში გერმანულ მხარესთან ერთად ქართული დელეგაციის წევრები, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში კოტე ზალდასტანიშვილი და საელჩოს თანამშრომლები დაესწრებიან.

13 ოქტომბერს, 14:00 საათზე, ვენის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობაზე, კულტურის მინისტრი დაათვალიერებს ქართულ პავილიონს Viennafair“-ზე, დაესწრება ფორუმის დახურვას და მონაწილეობას მიიღებს Viennafair“-ის ფარგ-

ლებში საქართველოსთან დაკავშირებულ დისკუსიაში, ხოლო 15:00 სთ-ზე გურამ ოდიშარია ქართულ დიასპორას შეხვდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს მხარდაჭერით ვენის მაცურებელი პირველად იხილავს ქართველი არტისტების, ნატალია ვანაძის, თეიმურაზ ქართალიშვილის, კონსტანტინე ქიტიაშვილის, ვლადიმერ ხარტიშვილის, ზურაბ კიკვაძის, ეკატერინე ქეცბაიას, ჯგუფ ბულიონის პერფორმანსს „სუფრა“. პერფორმანსი „სუფრა“ გულისხმობს დამსწრე საზოგადოების ქართულ“ სუფრასთან დაპატიჟებას, სადაც დომინანტი თამადა იქნება, რომელიც ჩართავს საზოგადოებას სუფრის მსვლელობაში.

თეატრ BRUT-ში ყოველწლიურად იმართება თანამედროვე წარმოდგენები, პერფორმანსები და კონცერტები. თეატრის წლებადეულ თემატიკას წარმოადგენს ხმის ძალა“.

ჯგუფი ბულიონის პერფორმანსები, აქციები და არტისტული ინტერვენციები ძირითადად საზოგადოებრივ ადგილებში ხორციელდება. ისინი ასევე აწყობენ გამოფენების სერიას კერძო ბინებში, ეხმიანებიან რა ამით ბინების როლს საბჭოთა კავშირში. - ეს იყო სივრცეები, სადაც იმართებოდა იმგვარი საზოგადოებრივი დებატები ან გამოფენები, რომლებიც ოფიციალურად არ იყო მხარდაჭერილი-გაკონტროლებული. ჯგუფი მონაწილეობდა რამდენიმე სახელოვნებო პროექტში; მათ შორის ვენეციის 55-ე ბიენალე; ბეთლემი-მიკრო-რაიონი (2009); გაყინული მომენტები.

NATALIE

COLE

FRIDAY, NOVEMBER 1
TBILISI CONCERT HALL

EN ESPAÑOL OUT JUNE 25

TBC STATUS Personal Banking

Tbilisi Jazz Festival 28 OCT - 1 NOV 2013

TbilisiJazz.com /TBILISIJAZZFESTIVAL

PURCHASE TICKETS AT TBILISI CONCERT HALL'S BOX OFFICE, ONLINE AT WEBSITE BILETEBI.GE. MORE INFO BY PHONE AT 2990599

PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN

ELITE MODEL LOOK GEORGIA & ARMENIA FINAL SHOW

N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE WWW.ELITEMODELLOOK.COM/AM

5 OCTOBER
Tbilisi, Georgia
20:00

2013
elite
MODEL LOOK
GEORGIA
ARMENIA

